# ДИДЕБА ДИД საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მამაც მშენებელს, მშვიდობისათვის, მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო-მოძღვნებებიდან

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანი

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 ოქტომბერი სამშაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 245 (14545)


## საოქტომბრო ლენინურ ვახტზე

### ქჭარელ მეცხოველეთა გამარჯვება

ბათუმი, 20 ოქტომბერი. (საქდესი). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში აჭარის ასსრ მეცხოველეებმა შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწიეს. მათ ვადაზე 2,5 თვით ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა.

აჭარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე სახელმწიფოს მიჰყიდონ კიდევ 600 ტონა ხორცი, დიდძალი რძე და კვერცხი.

### მაღალი ხარისხის ავეჯი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ოქტომბრის დღესასწაულის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც მთლიანად მაღალი ხარისხის ავეჯს ამზადებს. აქ ცხრა თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 303 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 129 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქუთაისელმა მეავეჯეებმა დავალებას ყველა დაწესებული ასორტიმენტის მიხედვით გადაამეტეს, გეგმასთან შედარებით 4,3 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება და თვითღირებულების შემცირებით ათასობით მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

შესანიშნავი შრომითი გამარჯვება მოიპოვა პარკეტის დამამზადებელი საამქროს კოლექტივმა, რომელსაც გ. ოსებაშვილი უძღვება. აქ ოქტომბრის პირველ ნახევარში გაანაღდეს ხუთწლედის მეოთხე წლის დავალება და გადაწყვიტეს წლის ბოლომდე კიდევ დამატებით მისცენ მშენებლებს 22 ათასი კვადრატული მეტრი მაღალხარისხოვანი პარკეტი.

### მანქანის დაბადება

ცხინვალი. (საკ. კორ.). ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“ სხვადასხვა სიმძლავრისა და კონსტრუქციის ვიბრაციულ მანქანებს უშვებს. მათზე დიდი მოთხოვნილებაა სამთო და მეტალურგიულ მრეწველობაში. უკვე რამდენიმე წელია ეს მანქანები გაავქვთ საზღვარგარეთ. კონსტრუქტორები დაუღალავად შრომობენ, რათა შექმნან მძლავრი სრულყოფილი მანქანები. ჯერ კიდევ წარშან ლენინგრადის ერთ-ერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის კონსტრუქტორებმა ერთობლივად შექმნეს „გრ-226“ მარკის ცხავის პროექტი. იგი შეიმუშავეს ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის დაკვეთით.

ამ ორი კოლექტივის მიერ ახალი მძლავრი ცხავის შექმნის პროექტი განხილულ იქნა ჩვენი ქვეყნის მრავალ მეტალურგიულ ქარხანაში. იგი მოიწონეს.

1968 წელს ცხინვალის ქარხანა პრაქტიკულად შეუდგა ამ ცხავის დამზადებას. წლის ბოლოსათვის ახალი მანქანა უკვე გამოსაცდელად იდგა ქარხნის სტენდზე, მაგრამ ვერ ავითარებდა საპროექტო სიმძლავრეს, ტყდებოდა კვანძები, თავი იჩინა პარაზიტულმა რხევებმა. სპეციალისტები სამი თვის განმავლობაში აუმჯობესებდნენ ცალკეულ ნაწილებს, მთლიანად შეცვალეს ზოგიერთი კვანძის კონსტრუქცია და აი ორი წლის დაძაბულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ქარხნის მთელი კოლექტივი სისარულით შეეგებრებდა რვატონიან მანქანას. მალე იგი გაგზავნეს ჩერეპოვეცში, სადაც ბრწყინვალედ ჩაბარა საქარხნო გამოცდა. ახალი 10-კილოვატიანი მანქანა ცხინვალელმა ვიბრომანქანათმშენებლებმა მიუძღვნეს ოქტომბრის დღესასწაულს და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს.

### ახალი ველოსიპედი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ენგურის ელექტროსადგურის და ჭალადიდის კომბინატის კოლექტივი წარმატებით იბრძვის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. კომბინატმა გადაჭარბებით შეასრულა ცხრა თვის გეგმა. ქართველმა მექანიკოსებმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება 109,4 პროცენტით შეასრულეს, გადააჭარბეს რეალიზაციის დავალებასაც და 10,2 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება. მექანიკოსებმა უკვე ჩაბარეს სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათი გალდებულებაა 7 ნოემბრისათვის გაანაღდონ თვის პირველი ნახევრის დავალება.

ხვავი, გარაქა!

ახმეტის საბჭოთა მეურნეობაში ბევრი მოწინავე მევენახეა. მათ შორის დიდ წარმატებას აღწევს სოციალისტური შრომის გმირი, ბრიგადირი გ. ხარიტონაშვილი. მისმა ბრიგადამ წელს ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანა. სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი ბ. ხარიტონაშვილი (მარცხნივ) და მეურნეობის დირექტორი ბ. ბიძინაშვილი ამოწმებენ ყურძნის ხარისხს.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

# პარტია გვიხმობს

**ПРАВДА**

20 ოქტომბრის მოწინავე

ლენინურით აღსავსე, აღმფრთოვანებელი დღეებია საბჭოთა ხალხისათვის. ეს-ეს არის დამთავრდა უმგალითო კოსმოსური ეპოპეა — სამი „სოიუზის“ ჯგუფური ფრენა, შესრულდა უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ექსპერიმენტთა პროგრამა. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, ჩვენი სახელოვანი კოსმონავტი გმირებას ეს უდიდესი მიღწევა მკაფიო ფურცლად ჩაიწერა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების მატიანეში. კოსმოსში გამარჯვება, ხუთწლედის შრომითს ფრონტებზე მიღწეული შესანიშნავი წარმატებანი ღირსეული საჩუქრებია საშობლოსათვის ოქტომბრის დღესასწაულის წინ.

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვების, ხალხის მასების შემოქმედებითი ძალებისადმი ღრმა რწმენით გამსჭვალული ეს მოწოდებანი აღგვაფრთოვანებენ შრომისათვის, გმირობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებების, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის მისაღწევად ბრძოლისათვის. ოქტომბრით დაიწყო მსოფლიოს საყოველთაო რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა; სულ უფრო სრულად ვლინდება მისი გარდამქმნელი ზემოქმედება ისტორიის მსვლელობაზე. დიდი რევოლუციის საკვესთან იდგა ვ. ი. ლენინი, და მილიონობით მშრომელნი მხურვალედ აღიქვამენ მგზნებარე სიტყვებს:

— **დაე მარად ცოცხლობდეს მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიოში პირველი ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის ხელმძღვანელის, სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, საერთაშორისო მუშათა კლასის გენიალურ ლენინის სახელი!**

ლენინურად ცხოვრება, მუშაობა და გამარჯვება — აი საბჭოთა ადამიანების საბრძოლო დევიზი. მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი სახალხო ინტელიგენცია, ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხი ერთ მწყობრში წარმატებით იბრძვიან სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. მიმართავს რა მილიონობით მშრომელს, პარტია მოუწოდებს მათ კიდევ უფრო განამტკიცონ შეკავშირება, დისციპლინა და ორგანიზებულობა, უფრო აქტიურად განავითარონ შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, სახელოვანი პატრიოტული საქმეებით აღმიშნონ ლენინის იუბილე. ამის მისაღწევად საჭიროა კომუნისტურად მოვეკიდოთ შრომას, განუხრელად ავამაღლოთ მისი ნაყოფიერება, უფრო სწრაფად დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

კომუნისტური ხაზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ავანგარდშია ჩვენი გმირი მუშათა კლასი. ინდუსტრიის კოლექტივების ამოცანა ის არის, რომ ყოველნაირად აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა, უკეთ გამოიყენონ საწარმოო ფონდები, შეამცირონ საროექტო სიმძლავრეთა ათვისების ვადები. სოფლის მშრომელებისათვის ახლა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საქმეა ორგანიზებულად დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალ მოსავალს, ახალი წარმატებებით შეხვდნენ კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობას. საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებისა და ტექნიკოსების მოვალეობაა იბრძოლონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დასაჩქარებლად.

კომუნიზმის მშენებელთა მრავალმილიონიანი არმიის ყოველი რაზმი საოქტომბრო მოწოდებებში პოულობს მოქმედების ზუსტ, კონკრეტულ პროგრამას. ამ მოწოდებებში დიდი ძალით ვლინდება პარტიის ზრუნვა სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის თანმიმდევრული განვითარებისათვის, ეს მოწოდებები იმის დიდი ალიარებაა, თუ რა სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს შემოქმედებითს შრომას ხალხის აღმშენებლობითი მუშაობის ყოველ უბანზე. ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს კომუნისტების როგორც სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მასების აქტიური ორგანიზატორების მოწინავე როლს შრომასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საბჭოთა ქვეყანასთან ერთად დიდი ოქტომბრის დღესასწაულის ზეიმით აღნიშვნისათვის ემზადებიან ჩვენი საზღვარგარეთელი კლასობრივი ძმები, მთელი პროგრესული კაცობრიობა. როცა ზეიმობდნენ ოქტომბრის რევოლუციის მეორე წლისთავს, ვ. ი. ლენინმა აღნიშნა მისი გავლენა მსოფლიო მოვლენების განვითარებაზე და სიამაყით თქვა: „ყველგან დაიწყო კომუნისტური მოძრაობა, და ახლა საერთაშორისო მასშტაბით ჩვენ მხარს გვიჭერს ყოველივე, რაც კი შეგნებულია, რაც კი რევოლუციურია მასებში, რევოლუციურ სამყაროში“. თუ რაოდენ გიგანტურად გაიზარდა ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე კომუნისტური რიგები, რა უდიდესი მასშტაბით მიმდინარეობს ხალხთა ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, ეს ყოველმხრივ გამოვლინდა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე. ანტიიმპერიალისტური ფრონტის გადამწყვეტი ძალა გახდა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. სახელოვანი რევოლუციური თარიღის წინ ჩვენი პარტია, რომელიც ერთგულად იცავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ იდეებს, ძმურად მიეხალმება კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მებრძოლ მარქსისტულ-ლენინურ ავანგარდს, მხურვალედ მიესალმება სოციალისტურ სახელმწიფოთა ხალხებს. მსოფლიოს კომუნისტების ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, სოციალიზმის ქვეყნების მეგობრობისა და ერთიანობის შემდგომი განმტკიცება ჩვენი დიადი კომუნისტური საქმის ახალ გამარჯვებათა საწინდარია.

ოქტომბრის დროშაზე წარწერილი იყო სიტყვა „მშვიდობა“. მას შემდეგ საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკაა, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ანტიიმპერიალისტური მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირების მტკიცე პოლიტიკაა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი მსოფლიოს ხალხებისადმი გამსჭვალულია რევოლუციური სოლიდარობის საბრძოლო სულისკვეთებით. ჩვენ ვართ მომძე ვიეტნამელ ხალხთან, რომელიც გმირულად იცავს სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიისაგან. ჩვენ იმათთან ვართ, ვინც აძლიერებს ბრძოლას ევროპაში კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნისათვის, ხალხთა შორის თანაშრომლობისა და ურთიერთგაგების განვითარებისათვის. ჩვენ იმათთან ვართ, ვინც მოითხოვს ისრაელის აგრესიის შეწყვეტას ახლო აღმოსავლეთში, ვინც იბრძვის საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

დიდი საბჭოთა ხალხი — კომუნიზმის სახელოვანი მშენებელი, მამაცი მებრძოლი მშვიდობისათვის, მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის — ოქტომბრის 52-ე წლისთავს ეგებება ძალღონითა და რევოლუციური ოპტიმიზმით აღსავსე. იგი მონოლითურად შეკავშირებულია მშობლიური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ამ დღეებში ჩვენს სამშობლოში კიდით კიდემდე მილიონობით ადამიანი იმეორებს მოწოდების მახლობელ და ძვირფას სიტყვებს:

— **მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ ახალი გამარჯვებებისაკენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ზეიმისათვის გრძოლაში!**

## ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია მოსკოვში ჩამოვიდა

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით დღეს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **გუსტავ ჰუსაკი** (დელეგაციის მეთაური), ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი **ლუდვიკ სვობოდა**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის თავმჯდომარე **ოლდრიხ ჩერნიკი**, ჩეხოსლოვაკიის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, ჩეხოსლოვაკელ მეგობრებს დიდი გულითადობითა და გულთბილობით შეხვდნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, კ. თ. კატუშევი** და სხვა ოფიციალური პირნი.

### ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია ეწვია ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ვ. პოდგორნის, პ. ნ. კოსიგინს

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გუსტავ ჰუსაკი მეთაურობს და რომელიც ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში, 20 ოქტომბერს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. პ. ნ. კოსიგინს.

ვიზიტის დროს საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელებს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

### დასვენებაზე ტუნისის მოსასლეობას

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის აღმასკომმა გადაწყვიტა ტუნისის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციას ძლიერი წყალდიდობის შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად გაუგზავნოს 20 ათასი მანეთის ხურსათი და მედიკამენტები. საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის აღმასკომის დეპეშაში გამოთქმულია იმედი, რომ საბჭოთა ადამიანების ჰუმანური ძღვენი ოდნავ მაინც შეამსუბუქებს ტუნისის მოსახლეობის მდგომარეობას.

### სსრ კავშირის ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური პრემიებისა და სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

20 ოქტომბერს ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური პრემიებისა და სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სესიამ. სესიაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები. იხილავენ ნაშრომებს, რომლებიც დაშვებულია კონკურსში სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად. (საკდესი).

### კოსმონავტის სახელოგისა

ბალტა (ოდესის ოლქი), 18 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). ბალტის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება № 9 სკოლას, რომელშიც სწავლობდა „სოიუზ-6“ კოსმოსური ხომალდის მეთაური გიორგი სტეფანეს-ძე შონინი, მიანიჭოს კოსმონავტის სახელი.

### ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ-ᲛᲝᲫᲦᲕᲜᲔᲑᲘᲗᲓᲐᲜ

### ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-303“

1969 წლის 18 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-303“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 91,9 წუთი; — მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 492 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 282 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 71 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა თანამგზავრზეა რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

## პეკინში ჩავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

პეკინი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს იმ მეთანხმების შესაბამისად, რომელიც მიღწეულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს შორის, ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე მოლაპარაკების საწარმოებლად, პეკინში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა პეკინში ჩამოსვლისას განაცხადა: „საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია პეკინში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა შორის შეთანხმების შესაბამისად ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე მოლაპარაკების საწარმოებლად. იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკება ნაყოფიერი იქნება და სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს. დელეგაციის სახელით და პირადად მინდა მადლობა გადავუხადო ჩინელ მასპინძლებს უყურადღებისა და თავაზიანი შეხვედრისათვის“.

## დაიწყო საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკება

პეკინი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა შეთანხმების შესაბამისად დღეს პეკინში დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის.

მოლაპარაკებაში მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის მეთაური ვ. ვ. კუზნეცოვი, დელეგაციის მეთაურის მოადგილე ვ. ა. მატროსოვი, დელეგაციის წევრები მ. ტ. ანტაშკევიჩი, ა. დ. დუბროვსკი, ა. ი. ელიზავეტინი, ე. ნ. ნასონოვსკი, ს. ი. რუბინტაკინი, ს. ლ. ტიხვინსკი;

ჩინეთის მხრივ — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაური ციაო გუანხუა, დელეგაციის მეთაურის მოადგილე ცაი ჩენ-ვენი, დელეგაციის წევრები იუე ჯანი, ცაი ხუნ-ძინი, ან ხუაი, ჯან ვენ-ძინი, ვან ბუ-ცინი, ვან ძინ-ცინი.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐ

### სსრ კავშირის ეროვნული სტატისტიკური სამმართველო გვაცნობებს

### სსრ კავშირის მრეწველობის 1969 წლის 9 თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ ნაკეთობათა წარმოების 9 თვის და მესამე კვარტალის გეგმა. წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 2,7 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მატებამ ცხრა თვეში შეადგინა 7 პროცენტი.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში ნათქვამია, რომ მრეწველობის ცალკეულ დარგებში პროდუქციის წარმოება გაიზარდა: ელექტროენერგეტიკაში — 10 პროცენტით, სათბობის მრეწველობაში — 4 პროცენტით, შავ და ფერად მეტალურგიაში — 4 პროცენტით, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში — 11 პროცენტით, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მრეწველობაში — 12 პროცენტით. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება გაიზარდა 14 პროცენტით.

სექტემბრის დამლევისათვის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ასალი სისტემით მუშაობდა 35,7 ათასი სამრეწველო საწარმო, რომლებმაც აწარმოეს მთელი სამრეწველო პროდუქციის 83 პროცენტი და მიიღეს 91 პროცენტი მოგება.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში მოყვანილია მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ სამრეწველო პროდუქციის წარმოებას ნატურალური გამოხატულებით მთლიანად ჩვენს ქვეყანაში. მიმდინარე წლის ცხრა თვეში, კერძოდ, წარმოებულია: ელექტროენერგია — 480 მილიარდი კილოვატ-საათი, ნავთობი — 242 მილიონი ტონა, გაზი — 134 მილიარდი კუბური მეტრი, ქვანახშირი — 451 მილიონი ტონა, თუჯი — 60,7 მილიონი ტონა, ფოლადი — 82,1 მილიონი ტონა, ნაგლინი — 65 მილიონი ტონა, ფოლადის მილები — 8.653 ათასი ტონა, მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულებით) — 34 მილიონი ტონა, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი (პირობითი ერთეულებით) — 205 ათასი ტონა. ცხრა თვის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში დამზადებულია 1868 მილიონი მანეთის ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და გამოსათვლელი ტექნიკა, 627,3 ათასი ავტომანქანა, 327 ათასი ტრაქტორი, 70,3 ათასი მარცვლის ასაღები კომბაინი, 66,4 მილიონი ტონა ცემენტი, 57 მილიონი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონი.

სახალხო მოხმარების საქონელი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია მეტი: ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები — 135 მილიონი კვადრატული მეტრი, ზედა ტრიკოტაჟი — 43 მილიონი ცალი, შეკერილი ნაწარმი — 1,1 მილიარდი მანეთისა, ტყავის ფეხსაცმელი — 26 მილიონი წყვილი, თევზის პროდუქცია — 189 მილიონი მანეთისა, საკონდიტრო საქონელი — 156 ათასი ტონა, სინთეზური სარეცხის საშუალებანი — 54 ათასი ტონა, რადიომიმღებები და რადიოფონები — 305 ათასი, ტელევიზორები — 717 ათასი, მაცივრები — 407 ათასი, სარეცხი მანქანები — 310 ათასი ცალი, ავეჯი — 131 მილიონი მანეთისა.

რამდენადმე გაუჯობესდა მრეწველობის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში აღნიშნულია, რომ მრძმედების მოცულობის გამოყენება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა 1,5 პროცენტით. 1,8 პროცენტით შემცირდა ელექტროსადგურებში კილოვატ-საათ ელექტროენერგიაზე სათბობის ხვედრითი ხარჯი. ცემენტის მრეწველობაში გაიზარდა მბრუნავი ღუმელებისა და წისქვილების საათობრივი წარმადობა. ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში გაიზარდა ჭაბურღილებიდან ნავთობის ამოღება, ბამბეულის მრეწველობაში რამდენადმე გაიზარდა სართავი და საქსოვი მოწყობილობის წარმადობა.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით გაიზარდა 4,6 პროცენტით. მრეწველობის მოგება 9 თვის მანძილზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შესადარ ფასებში 9 პროცენტით და უფრო მეტად გაიზარდა.

თუმცა მრეწველობამ შეასრულა გეგმა, მაგრამ მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დავალებანი. ვერ შესრულდა გაზის მოპოვების, შავი ლითონების ნაგლინის წარმოების, მინერალური სასუქების, გოგირდმჟავას, კაუსტიკური და გალაცინირებული სოდის, ცვლადი დენის ელექტროძრავების, ნავთობაპარატურის, ელმავლების, სატვირთო ვაგონების, ცალკეული სახეობათა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სამასალე მერქნის, ცემენტის, აგურის, ასაწყობი რკინა-ბეტონის, ქსოვილების, მაცივრების, ხორცის პროდუქტებისა და ზოგიერთი სხვა ნაწარმის წარმოების გეგმები.

მთელ რიგ სამრეწველო ობიექტებში ჯერ კიდევ ნელა ხდება საპროექტო სიმძლავრეთა ათვისება. ბევრ საწარმოში საწვავისა და ელექტროენერგიის ხარჯვა აღემატება დადგენილ ნორმებს.

სამეცნიერო-საკვლევმა, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა და სამრეწველო საწარმოებმა განახორციელეს დიდმნიშვნელოვან სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა შემდგომი დამუშავება, აითვისეს სამრეწველო პროდუქციის ახალ სახეობათა გამოშვება, წარმოებაში დანერგეს ახალი ტექნოლოგიური პროცესები, კომპლექსური შექანიზაცია და ავტომატიზაცია. მაგრამ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გეგმები მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა მთლიანად ვერ შეასრულეს.

მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე სახალხო მეურნეობაში დაინერგა დაახლოებით 2,2 მილიონი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც წელიწადზე გაანგარიშებით 1,8 მილიარდ მანეთ ეკონომიას იძლევა.

# საბჭოთა მეცნიერების ტრიუმფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეს-კონფერენცია სასტუმრო „კოსმონავტში“ ბაიკონურის კოსმოდრომზე. მარცხნიდან მარჯვნივ — ვ. ნ. კუბასოვი, ვ. ხ. ფონინი, ა. ხ. ელისეევი, ვ. ა. შატალოვი, ა. ვ. ფილიპჩენკო, ვ. ნ. ვოლკოვი და ვ. ვ. გორბატკო.
ფოტო ვ. ჩერედნიცეევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

**ბაიკონური,** 19 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ. ვ. სტეპანოვი). იმავე დარბაზში, სადაც ჩვენ კოსმონავტებს შევხვდით სამი სტარტის წინ, დღეს კვლავ შეიკრიბნენ კოსმოსის დამპყრობნი, მეცნიერები, კონსტრუქტორები, მესტარტეები, აქ ჯამებენ „სოიუზის“ სერიის ხომალდების ჯგუფური ფრენის შედეგებს.

სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მოკლე იყო.

— „სოიუზ-6“, „სოიუზ-7“ და „სოიუზ-8“ კოსმოსური ხომალდების ჯგუფურმა ფრენამ, — თქვა მან, — დასაბამი მისცა კოსმოსური სივრცის კომპლექსურ კვლევას ადამიანის უშუალო მონაწილეობით.

სახელმწიფო კომისიის მიერ მოსმენილი ეკიპაჟთა წინასწარი მოხსენებანი მოწმობენ, რომ „სოიუზის“ ტიპის ხომალდების შემქმნელებმა მიიღეს საყურადღებო გამოსაცდელი მასალა, რომელიც მნიშვნელოვნად შეგვიწყობს ხელს პილოტირებული კოსმოსური ფრენის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ გულითადი მადლობა გადაუხადა კოლექტივებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ხომალდების შექმნაში, გაშვებასა და მართვაში, ეკიპაჟების დაშვებისა და კოსმოდრომზე მიყვანის ორგანიზაციაში.

შემდეგ გამოვიდა მთავარი კონსტრუქტორი, რომელმაც კოსმონავტებს მიულოცა ფრენის წარმატებით დამთავრება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ექსპერიმენტის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევენ ფრსებითად გავამარტივოთ ხომალდის ზოგიერთი სისტემა, უფრო დიდი პასუხისმგებლობა დავაკისროთ კოსმონავტებს.

საკომანდო-საზომი კომპლექსის წარმომადგენელმა თქვა, რომ მიწისზიდა და მცურავი საკომანდო-საზომი პუნქტების ყველა საშუალება საიმედოდ უზრუნველყოფდა კოსმოსური ხომალდების მართვას. პროგრამაში შედიოდა ბევრი სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერიმენტი. მათ შესასრულებლად საჭირო იყო გაზომვის ყველა საშუალების, დედამიწისა და კოსმოსური საშუალებების ზუსტი მუშაობა. დაუყოვნებლივ მიმდინარეობდა მიღებული ინფორმაციის ავტომატური დამუშავება.

შემდეგ სიტყვა მართვის სისტემის ერთ-ერთ დამმუშავებელს. მან აღნიშნა ახლანდელი ფრენის თვისებრივი განსხვავება წინა გაფრენებისაგან. ეს იყო ხომალდების ერთმანეთთან მიახლოებისა და ერთმანეთისაგან დაშორების დროს მანევრების მრავალფეროვნება. მანევრები სხვადასხვა ხასიათისა იყო: ზოგი ხორციელდებოდა დედამიწიდან გაცემული კომანდით, ზოგიც — დედამიწიდან მითითებებით, ზოგს ეკიპაჟები ასრულებდნენ დამოუკიდებლად. მთავარ ამოცანებში შედიოდა ხელის ოპერაციებისა და კოსმოსური ხომალდების მართვაობის მართვის მეთოდების დამუშავება.

კოსმოდრომის წარმომადგენელმა ილაპარაკა მესტარტეთა და გამომცდელთა მუშაობის შესახებ. საერთოდ მორიგი და მტკიცე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა კოსმოსის ათვისების საბჭოთა პროგრამის შესრულების გზაზე. გამომცდელები მოხარული არიან, რომ, რთული პროგრამისა და ცუდი ამინდის მიუხედავად, წარმატებით დაგვირგვინდა მათი დაძაბული შრომა პილოტირებული ხომალდებიანი მატარებელი რაკეტების მომზადებისა და გაშვებისათვის.

სიტყვა ეძლევა გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ბ. კამანინს.

— ჩვენ პირველად ვამზადებდით შვიდ კოსმონავტს ჯგუფური ფრენისათვის. ამ ცდის შედეგები მომავლისათვის ძალიან ბევრ მასალას აძლევენ არა მარტო კონსტრუქტორებს, არამედ იმათაც, ვინც კოსმონავტებს ამზადებს.

მეცნიერმა მედიცმა — სახელმწიფო კომისიის წევრმა, რომელიც პასუხს აგებს ფრენის სამედიცინო-ბიოლოგიური უზრუნველყოფისათვის, თქვა:

— საბოლოო შედეგების შეჯამება ჯერ ადრეა. მაგრამ ზოგიერთი დასკვნის გამოტანა უკვე შეგვიძლია. სავსებით გამართლდა რადიაციული ვითარების კარგი პროგნოზი ფრენის მთელი დროისათვის. დედამიწისირგვლივ სივრცეში ყოფნის დღეებში კოსმონავტებმა მიიღეს მხოლოდ 36-მდე მილიარდი, რაც დასაშვებ ნორმებზე გაცილებით ნაკლებია. ეს არის დოზები, რომლებიც არ გამოიწვევენ არავითარ უარყოფითს ბიოლოგიურ შედეგებს. ჩვენ ხომალდებიდან ბევრი არხით მივიღეთ ოპერატიული ინფორმაცია კოსმონავტთა მდგომარეობის შესახებ. ეკიპაჟების წევრებთან ლაპარაკმა, ტელევიზიის სეანსებმა საშუალება მოგვცეს განუწყვეტლივ გავეგოთ კონტროლი კოსმონავტთა ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის. ფრენის დროს ისინი თავს კარგად გრძნობდნენ. სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის მიღებული მონაცემები საშუალებას მოგვეცემენ გავითვალისწინოთ, თუ როგორი იქნება კოსმონავტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო ხანგრძლივი ფრენის დროს.

ეურნალისტებმა მხოლოდ ერთი კითხვა მისცეს ხომალდების ჯგუფის მეთაურს პოლკოვნიკს ვ. ა. შატალოვს:

**— როგორ შეფასებას აძლევთ ფრენას.**

— ფრენას, — თქვა მან, — შეფასებას აძლევს სახელმწიფო კომისია — მეცნიერები, სპეციალისტები. თქვენ ესენი არის მოისმინეთ იგი. მე, როგორც დავალებული მჭონდა ერთობლივი ფრენის ცალკეულ ეტაპებზე მეხელმძღვანელა, მოგზდინა ეკიპაჟების ღონისძიებათა კოორდინაცია, მიწდა მადლობა გადავუხადო ამხანაგებს მეტად ზუსტი მუშაობისათვის, კარგი ურთიერთდახმარებისათვის და ეუსურვო მათ მომავალშიც ასეევე კარგად იმუშაონ.

დასასრულ ფრენის შედეგები მოკლედ დაახასიათა საბჭოთა კოსმოსური პროგრამის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოსმოსური ხომალდების ჯგუფის ფრენის მომზადებამ და განხორციელებამ გვიჩვენეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონე, ჩვენი მრეწველობის დიდი შესაძლებლობანი. წარმატება ბევრი კოლექტივის, საწარმო-ორგანიზაციებისა და, რა თქმა უნდა, კოსმონავტების შეწყობილი მუშაობის შედეგია. მიღებულია დიდმნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური მონაცემები, რომლებიც უკავშირდება დედამიწისირგვლივ სივრცის ათვისების პროგრესის ინტერესებისათვის.

დასასრულ დიდი მადლობა გადაუხადეს ყველა კოლექტივს, საწარმოსა და დაწესებულებას, რომლებიც ახალ კოსმოსურ ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ.

## სასიხარულო გმიროგა

**ჩვენს ქვეყანაში დიდი სიხარულია — შვიდმა საბჭოთა კოსმონავტმა წარმატებით დაამთავრა კოსმოსური ხომალდების ჯგუფური ფრენა და შეასრულა ბევრი ხამუშაო იმ დიდმნიშვნელოვან ამოცანათა გადასაწყვეტად, რომლებიც საჭიროა კოსმოსური ხომალდების პილოტობის სრულყოფისათვის და სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო დანიშნულების ორბიტული სადგურების შესაქმნელად. სამშობლოს მამაცი შვილების ფრენამ ცხადყო საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი განვითარება.**

**მე, როგორც სპეციალისტს მიხდება ბევრი კვანძისა და აგრეგატის შედეგება და რეკონსტრუქცია, ამიტომ ძალიან გამეხარდა, რომ შედეგების პროცესი კოსმოსში განხორციელდა ავტომატურად და დისტანციურად ხდებოდა მისი კონტროლი. ეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დიდი მიღწევაა.**

**ი. ტულუში,**
ამიერკავკასიის რკინიგზის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

# ფრენას შეფასებას აძლევენ მეცნიერები

**სახელმწიფო კომისიის სხდომის ანგარიში**

**ლამოთავრდა „სოიუზ-6“, „სოიუზ-7“ და „სოიუზ-8“ ხომალდების ჯგუფური ფრენა. მოუწყო ექსპერიმენტები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კოსმოსური სივრცის შესწავლისათვის.**

**„სოიუზის“ კოსმოსური ხომალდების მთავარმა კონსტრუქტორმა საკადესის სპეციალური კორესპონდენტების ა. რომანოვისა და ვ. სტეპანოვის შეკითხვებზე უპასუხა შემდეგი:**

დაიწყო ახალი ეტაპი — შრომატევადი მეცნიერული მუშაობა, რომელსაც უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კოსმოსური სივრცის მომავალი ათვისებისათვის. სწორედ ასეთი, ნამდვილად „სამუშაო“ ექსპერიმენტი იყო ახლახან დამთავრებული ექსპერიმენტი. რა არის მისი თავისებურება და მეცნიერულ-ტექნიკური სიახლე? უწინარეს ყოვლისა ის, რომ დედამიწისირგვლივ ორბიტაზე პირველად ცხადი ხანგამოშვებით ერთად გავდა სამი ხომალდი „სოიუზი“, რომლებშიც შვიდი კაცი იყო. ამან მოითხოვა ხომალდების სისტემების, მათი მართვის მეთოდების შემდგომი სრულყოფა, მიწისზედა საზომი კომპლექსის მუშაობის ახალი ორგანიზაცია. დამეთანხმებით რომ კოსმოსური ხომალდების ჯგუფის ფრენის მართვა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ერთი ხომალდის მართვა. და, უნდა ითქვას, რომ ჩვენმა სპეციალისტებმა წარმატებით შეასრულეს ეს რთული ამოცანა.

პირველად ხომალდების ჯგუფს კოსმოსში გარკვეული ეტაპზე ხელმძღვანელობდა სპეციალურად დანიშნული მეთაური-პოლკოვნიკი ვლადიმერ შატალოვი. იგი იხდიდა ყველა ეკიპაჟის ღონისძიებათა კოორდინაციას პროგრამით გათვალისწინებული მთელი რიგი მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანებისა და გამოკვლევების შესრულების დროს. ამის შედეგად მოხერხდა წარმატებით განეხორციელებინათ იმ მეცნიეიულ-ტექნიკური ამოცანების ფართო წრის კომპლექსური და რაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთდროული გადაწყვეტა, რომ. ლებიც უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია კოსმოსური ტექნიკის დახვეწასთან. რამდენიმე დღის მანძილზე მიდინარეობდა „სოიუზ-6“-ის, „სოიუზ-7“-ისა და „სოიუზ-8“-ის მრავალგზისი ფაფრო მანევრირება, ხომალდები რიგრიგობით უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, ამასთან რამდენიმე ასეულ მეტრ მანძილზე. ეირითადად ყველა ეს ოპერაცია ხორციელდებოდა ხელის მართვის სისტემების საშუალებით და ეკიპაჟი იყენებდა საბორტო ავტონომიურ სანავიგაციო ხელსაწყოთა მონაცემებს. დასაშვები ამპარატების დაჯდომა დედამიწაზე ხდებოდა ხელის მართვის სისტემების მეოხებით.

**— რით აიხსნება, რომ ამჯერად ცნობებში ფრენის შესახებ განსაკუთრებით აღინიშნებოდა კოსმონავტთა მუშაობა ხელის მართვის სისტემებით?**

— „სოიუზის“ ხომალდების ფრენის ხელმძღვანელობა, ბუნებრივია, დედამიწიდან ხდებოდა. ყოველ წუთს შეგვეძლო გვეკითხა ხომალდის სისტემების მართვასთან დაკავშირებული ყველა საზრუნავი. მაგრამ, ამჯერად, კოსმონავტებს მართლაც მიეცათ დიდი დამოუკიდებლობა. ფრენის დროს ისინი მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყვნენ და კარგადაც ისარგებლეს ამით. კოსმონავტებმა გასახორციელეს მეტად მნიშვნელოვანი ექსპერიმენტები ხელის მართვის სისტემების. შემდგომი დახვეწისათვის. კერძოდ, ძთ შეასრულეს უმნიშვნელოვანესი ოპერაციები ხომალდის ორიენტაციისა და სტაბილიზაციისათვის. ამასთან ეს ოპერაციები ხორციელდებოდა ფრენის რთული რეჟიმის პირობებში. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ჯგუფური ფრენის დროს ამოცანა იყო საგულდაგულოდ დაეხვეწათ დედამიწისირგვლივ ორბიტაზე ხომალდების პილოტირების ტექნიკა.

როცა ვთქვი, რომ კოსმონავტები მდგომარეობის ნამდვილი ბატონ-პატრონი იყვნენ-მეთქი, იმის თქმა არ მინდოდა, თითქოს ავტომატიკა მეორე პლანზე გადადიოდეს. არა, ხომალდზე ბევრი ავტომატური სისტემაა, და ადამიანის ამოცანაა კონტროლი გაუწიოს მათს მუშაობას, ამოქმედოს ის ხელსაწყოები და აპარატები, რომლებიც მოცემულ მომენტში საჭიროა კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. ამისათვის კოსმონავტებს უნდა ჰქონდეთ დიდი ცოდნა, ჩინებული პროფესიული მომზადება, იმის უნარი, რომ ერკვეოდნენ ხომალდის მატერიალურ ნაწილში. უნდა თქვას, რომ „შატალოვმა, გ. შონინმა, ვ. კუბასოვმა, ა. ფილიპჩენკომ, ვ. ვოლკოვმა, ვ. გორბატკომ, ა. ელისეევმა შეასრულეს თავიანთი ამოცანები.

მაგრამ დავუბრუნდეთ აზრს ადამიანისა და ტექნიკის კავშირის შესახებ. რაც უნდა მაღალი, სრულყოფილი იყოს რაკეტულ-კოსმოსური სისტემების ავტომატიზაციის დონე, ეს ვერ დააკნინებს ადამიანის როლს. ფრენის პირობებში, მით უფრო უშუალოდ ხომალდს გარეთ სხვადასხვა ოპერაციის შესრულებისას, კოსმონავტის მნიშვნელობა ძალზე დიდია.

**— თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განისაზღვროს ადამიანის ადგილი და როლი სისტემაში „ადამიანი-მანქანა“?**

— ამ პრობლემის შემსწავლელი სპეციალისტები განიხილავენ მის შემადგენელ სამ მთავარ ელემენტს. პირველი—კოსმონავტი თვალუყრა ადევნებს ხელსაწყოთა მუშაობას და განუწყვეტლივ იღებს სხვადასხვა ინფორმაციას, მაგალითად, სად იმყოფება ხომალდი სივრცეში და სხვ. ამ ინფორმაციის შეფასება ფრენის გრაფიკთან და ტრაექტორიასთან შედარებით და გადაწყვეტილების მიღება (მაგალითად, ძეთაური ამბრეკ, რომ ხომალდი რამდენადმე ასცდა კურსს), შეორე ელემენტია. და, ბოლოს, მესამე, დასკვითი ელემენტია მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მუშაობა იმ სისტემებით, რომლებსაც ხომალდი გაჰყავთ გაანგარიშებულ ორბიტაზე. რა თქმა უნდა, შეკითხვაზე ზოგადად გიპასუხეთ. ხომ შეიძლება შეიქმნას ვითარება, რომელსაც დედამიწაზე მხოლოდ ზოგადად ვითვალისწინებთ.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოსმონავტების მომზადებას ფრენისათვის. მოგვაგონებთ, რომ პირველად კოსმოსში გაფრინდნენ ფეოინოვები, რომლებმაც, კაცმა რომ თქვას, გაიარეს არცთუ ისე ხანგრძლივი „კოსმოსური“ მომზადება. შემდეგ გაფრინდნენ ინკონრები, მეცნიერები. ეს ახირებული სურვილი როდი იყო. ეს აუცილებელი გახდა.

**— რას გვეტყვით კოსმოსში ელექტროშედეგების ცდის მნიშვნელობასა და პერსპექტიულობაზე?**

— ეს დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტია. კეთილი სიტყვით უხდა ვახსენოთ მეცნიერები, რომლებმაც შექმნეს აპარატი ღრმა ვაკუუმისა და უწონობის პირობებში ლითონების შედუღების სხვადასხვა ხერხის ალმოკაკლევად. როგორც ცნობილია, კოსმონავტმა ვალერი კუბასოვმა ეს ცდა რამდენიმე ვარიანტად გახახორციელა.

ახლა ზოგს მიაჩნია, რომ ორბიტაზე შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ობიექტის აშენება და მათი დამონტაჟება მხოლოდ ავტომატური მოწყობილობით. ეს ასე არ არის. ეფიქრობ, რომ ყოველნაირ კოსმოტუქვეობის აწყობის დროს, თუმცა იგი მაქსიმალურად მექანიზებული იქნება, მაინც საჭირო გახდება ხელის შრომის გამოყენება. კერძოდ, ერთ-ერთი ასეთი სამუშაოა შედუღება, თუმცა იგი მოხდება სპეციალური აპარატით. ვალერი კუბასოვმა საცდელი შედუღება მოაწყო ორბიტულ ნაკეთეურში, რომელიც ალარ იყო ჰერმეტულად დახურული, ხვალ კი, შესაძლოა, ასეთი შედუღება მოხდეს ხომალდის კაბინის გარეთ. დღეს შეადუღეს ლითონის ორი ნაჭერი, ხვალ კი უფრო რთულ სამუშაოს შეასრულებენ. ასე შეიძენენ ადამიანები გამოცდილებას, შეიმუშავებენ საჭირო ტექნიკას, რათა მომავალში აშენონ კოსმოსური ნავსადგურები და ნავსაყუდები, რომელთა შესახებ ბევრჯერ ულაპარაკია აკადემიკოს ს. პ. კოროლიოვს.

• • •

დასასრულ „სოიუზის“ ხომალდების მთავარმა კონსტრუქტორმა სთხოვა კორესპონდენტებს პრესის საშუალებით გადაეცათ მადლობა ყველა მეცნიერისათვის, კონსტრუქტორისათვის, ინჟინერისათვის, მუშისათვის, გამომცდელისა და კოსმონავტისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ დიდმნიშვნელოვან ექსპერიმენტში.

**მოსკოვი-ბაიკონური.**

# კოსმოსური ექსპერიმენტის ზოგიერთი შედეგი

**ფორმაციის შეფასება ფრენის გრაფიკთან და ტრაექტორიასთან შედარებით და გადაწყვეტილების მიღება (მაგალითად, ძეთაური ამბრეკ, რომ ხომალდი რამდენადმე ასცდა კურსს), შეორე ელემენტია. და, ბოლოს, მესამე, დასკვითი ელემენტია მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მუშაობა იმ სისტემებით, რომლებსაც ხომალდი გაჰყავთ გაანგარიშებულ ორბიტაზე. რა თქმა უნდა, შეკითხვაზე ზოგადად გიპასუხეთ. ხომ შეიძლება შეიქმნას ვითარება, რომელსაც დედამიწაზე მხოლოდ ზოგადად ვითვალისწინებთ.**

**კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოსმონავტების მომზადებას ფრენისათვის. მოგვაგონებთ, რომ პირველად კოსმოსში გაფრინდნენ ფეოინოვები, რომლებმაც, კაცმა რომ თქვას, გაიარეს არცთუ ისე ხანგრძლივი „კოსმოსური“ მომზადება. შემდეგ გაფრინდნენ ინკონრები, მეცნიერები. ეს ახირებული სურვილი როდი იყო. ეს აუცილებელი გახდა.**

**— რას გვეტყვით კოსმოსში ელექტროშედეგების ცდის მნიშვნელობასა და პერსპექტიულობაზე?.**

— ეს დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტია. კეთილი სიტყვით უხდა ვახსენოთ მეცნიერები, რომლებმაც შექმნეს აპარატი ღრმა ვაკუუმისა და უწონობის პირობებში ლითონების შედუღების სხვადასხვა ხერხის ალმოკაკლევად. როგორც ცნობილია, კოსმონავტმა ვალერი კუბასოვმა ეს ცდა რამდენიმე ვარიანტად გახახორციელა.

ახლა ზოგს მიაჩნია, რომ ორბიტაზე შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ობიექტის აშენება და მათი დამონტაჟება მხოლოდ ავტომატური მოწყობილობით. ეს ასე არ არის. ეფიქრობ, რომ ყოველნაირ კოსმოტუქვეობის აწყობის დროს, თუმცა იგი მაქსიმალურად მექანიზებული იქნება, მაინც საჭირო გახდება ხელის შრომის გამოყენება. კერძოდ, ერთ-ერთი ასეთი სამუშაოა შედუღება, თუმცა იგი მოხდება სპეციალური აპარატით. ვალერი კუბასოვმა საცდელი შედუღება მოაწყო ორბიტულ ნაკეთეურში, რომელიც ალარ იყო ჰერმეტულად დახურული, ხვალ კი, შესაძლოა, ასეთი შედუღება მოხდეს ხომალდის კაბინის გარეთ. დღეს შეადუღეს ლითონის ორი ნაჭერი, ხვალ კი უფრო რთულ სამუშაოს შეასრულებენ. ასე შეიძენენ ადამიანები გამოცდილებას, შეიმუშავებენ საჭირო ტექნიკას, რათა მომავალში აშენონ კოსმოსური ნავსადგურები და ნავსაყუდები, რომელთა შესახებ ბევრჯერ ულაპარაკია აკადემიკოს ს. პ. კოროლიოვს.**

• • •

**დასასრულ „სოიუზის“ ხომალდების მთავარმა კონსტრუქტორმა სთხოვა კორესპონდენტებს პრესის საშუალებით გადაეცათ მადლობა ყველა მეცნიერისათვის, კონსტრუქტორისათვის, ინჟინერისათვის, მუშისათვის, გამომცდელისა და კოსმონავტისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ დიდმნიშვნელოვან ექსპერიმენტში.**

**მოსკოვი-ბაიკონური.**

**პარტიული ცხოვრება**

# შესრულების კონტროლი და შეამოწმება

**ვადაყვანილებისა და შესრულების, სიტყვისა და საქმის ერთიანობა საფუძველად უდგას ხელმძღვანელობის ლენინურ სტილს. სწორედ ამიტომ პარტიის XXIII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო შესრულების შემოწმების სრულყოფას როგორც ორგანიზატორული მუშაობის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს. რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო სწერია: „ყრილობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების სწორად დაყენებას“.**

**შესრულების შემოწმების მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა ფასდება იმით, თუ როგორ წყდება პრაქტიკულად საწარმოს, საზოგადოებრივი მეურნეობის, რაიონის, ქალაქის და მთლიანად რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანები. ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე ფართოვდება საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება, თვითეული ხელმძღვანელის ყოველთვის ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე, ორმად ერკვეოდეს ჩამორჩენის გამოწვევ მიზეზებში, დროულად სახაგდეს მისი დაძლევის გზებს. ამასთან მათ უნდა შეიძლოთ საკითხთა ფართო წრიდან ხელი ჩასჭიდონ ყველაზე მთავარს, უშუალოდ იყონ დაკავშირებული მასებთან, რომლებიც პრაქტიკულად ახორციელებენ პარტიის დირექტივებს, თავიანთი თვალით ხედავდნენ იმას, თუ ვინ როგორ ასრულებს დავალებას და რომელ მუშაკს რა დახმარება სჭირდება.**

**შესრულების შემოწმება პარტიული მშენებლობის ძირითადი საკითხია. ამიტომ იგი არ უნდა გადაიქცეს უბრალო ფორმალობად და სისტემატურ ხასიათს უნდა ატარებდეს. შემოწმება უნდა ეწარმოდეს როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან, ხელმძღვანელები ამოწმებენ მასებს საქმითაობას, ხოლო მასები ხელმძღვანელთა მოღვაწეობას. შემოწმების კარგი სკოლებია კრებები, პლენუმები, კონფერენციები, პარტიულ-სამეურნეო აქტივები, ყრილობები. აქ კომუნისტებს საშუალება აქვთ ყოველმხრივ გაიცნონ ხელმძღვანელ მუშაკთა მოღვაწეობას, დაინახონ მათი მუშაობის მიღწევები და ნაკლოვანებანი და თუ საჭიროდ ჩათვლიან, შეცვალონ ისინი, რომლებიც თავს ვერ ართმევენ საქმეს, ყურს ვერ უდგებენ კომუნისტთა კრიტიკულ, საქმიან შენიშვნებს, წინადადებებს.**

**შარშან პირველადი პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნებსა და წელს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა შეაჯამეს ხელმძღვანელთა საქმიანობის, თავიანთი მუშაობის შედეგები, დასახეს ახალი ამოცანები კომუნიზმის მშენებლობის დასაჩქარებლად. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ახლა რესპუბლიკის მიერ წილ პარტიული ორგანიზაციებში პარტიულ კრებებზე კომუნისტებს, როგორც წესი, აცნობენ წინა პარტიულ კრებებზე მიღებულ დადგენილებათა განხორციელების, აგრეთვე იმ საქმიანი წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების შესრულების შემდგინარეობას, რომლებიც კომუნისტებმა წამოაყენეს. ასეთ პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტთა შემდგომი აქტივობისა და ავანგარდული როლის ამაღლებისათვის, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის.**

**გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ახლა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში შესრულების კონტროლსა და შემოწმებას სერიოზული ყურადღება ექცევა. მაგალითად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და ლენინის რაიკომმა გულმოდგინედ შეისწავლეს სიღიკატური საკედლე მასალის ქარხნის საქმიანობა და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ ეს საწარმო უკანასკნელ წლებში სისტემატურად ვერ ასრულებდა სახელმწიფო დავალებებს. შარშან აქ აგურის გამოშვების გეგმა მხოლოდ 57,7 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის დავალება 64,7 პროცენტით შესრულდა.**

**შემოწმებით დადგინდა, რომ ქარხნის ადმინისტრაცია და პარტიბიურო ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევდნენ შრომის ორგანიზაციას. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ აქ არსებული დაგეგმვისა და მეურნეობის გაძღოლის ძველი წესები ვერ უზრუნველყოფდნენ ქარხნის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებას, რის გამო საწარმო მუდამ ჩამორჩებოდა. ქარხნისა და პარტბიუროს ახალმა შემადგენლობამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მიერ შემუშავებულ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებას და ახლა საწარმო, რომელიც მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან გადასულია დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, გადამეტებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებს.**

**ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მოღვაწეობიდან.**

**შესრულების კონტროლსა და შემოწმებას ასევე დიდ ყურადღებას აქცევს პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი, პარტიის საქალაქო კომიტეტმა მიდინარე წლის 14 თებერვალს განიხილა საკითხი „ქიმიური კომბინატის ახალი ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ“. გამოვლინებულ იქნა სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ამ მშენებლობის დაჩქარებას (იგი მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ). შემოწმებით გამოირკვა, რომ მშენებლობა დაკომპლექტებული არ იყო საჭირო მუშახელით, აქ არ ჰქონდათ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ოპერატიული გრაფიკი, მშენებლობას დროულად ვერ უზრუნველყოფდნენ საჭირო სამშენებლო მასალებით, სათანადო სიმაღლეზე არ იდგა მუშაობა საყოფაცხოვრებო პირობები და კომუნალური მომსახურება. პარტიის საქალაქო კომიტეტმა მაიღო კონკრეტული დადგენილება, რომლის შესრულება დაეკალათ საქალაქო კომიტეტის მუშაკებს, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტისა და ქიმიური კომბინატის ხელმძღვანელებს, მშენებლობის პარტიულ ორგანიზაციას, კომუნისტებს. ერთი თვის შემდეგ საქალაქო კომიტეტმა შეამოწმა თავისი დადგენილების შესრულება. გამოირკვა, რომ მოკლე ხნის მანძილზე მშენებლობაზე მნიშვნელოვანი ძვრები მომხდარიყო. ახლა კომბინატის ობიექტების მშენებლობა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, რასაც ხელს უწყობს შრომის ორგანიზაციის მკვეთრად გაუმჯობესება, ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის გამოცოცხლება, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება, საშენი მასალების უზრუნველყოფა.**

**პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება მოითხოვს პირველადი პარტორგანიზაციებისადმი, ყველა კომუნისტისადმი უფრო კვალიფიციური, ქმედითა, მიზნობრივ ხელმძღვანელობასა და დახმარებას, მათი როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ახალი ადამიანის აღზრდის საქმეში.**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, დღითიდღე სრულყოფენ პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს.**

**პარტიის ქუთაისის საქალაქო, მაზარაძის, თბილისის ლენინის, სიღნაღის, ზეიმლეწაროს, ახალციხის, ბორჯომის, ახალქალაქის რაიონული, აგრეთვე მთელი რიგი სხვა პარტიული კომიტეტები დიდ მუშაობას ეწევიან ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის, კომუნისტთა იდეური გამოწრთობისათვის, მინდობილი საქმისადმი ამაღლებული პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. ისინი რეგულარულად იხმენენ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და ცალკეულ კომუნისტთა ანგარიშებს. პარტიული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე გულახდილ მსჯელობას და ამხანაგურ რჩევა-დარიგებას მოსდევს სათანადო კოლეგიური ღონისძიებათა შემუშავება, მიღწევებისა და ნაკლოვანებათა გათვალისწინებით. შემდგომი მთავარი ეჭაპია შესრულების სისტემატური კონტროლი და შემოწმება, აღგილებზე პრაქტიკული დახმარება.**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პერიოდულად განიხილავს რაიონული და საქალაქო კომიტეტების, აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების ანგარიშებს წინათ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე და სახავს ღონისძიებებს მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.**

**ჯერ კიდევ 1961 წელს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოისმინა სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ანგარიში. მაშინ ბიუროზე ლაპარაკი იყო კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტორგანიზაციის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტიდან ანაგელმა კომუნისტებმა სათანადო დასკვნები გააკეთეს. მათ გულმოდგინედ აწონ-დაწონეს კოლმეურნეობაში არსებული მდგომარეობა, კარგად გაითვალისწინეს ცენტრალური კომიტეტის მითითებანი, კრიტიკული შენიშვნები. პარტიის სიღნაღის რაიკომის ყოველდღიური დახმარებით მათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ორგანიზატორული და აღმშრდელობითი მუშაობა, სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა აქტივობასა და შემოქმედების ინიციატივას, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება.**

**ამ დღიდან ანაგაში სასოფლო-სამეურნეო წარმოება აღმავალი გზით წავიდა და ზრდის ტემპი სულ უფრო მატულობს დასახული ამოცანების შესაბამისად. ეს ცხადყო ახაგის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის ბიუროს ახალმა ანგარიშმა, რომლითაც იგი შარშან წარსდგა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე.**

**გასული წლის

# ქმური მეგობრობის სულისკვეთებით

სპკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1969 წლის 13-20 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ამბ. ფამ ვან დონგი.

საბჭოთა კავშირში დელეგაციის ვიზიტის შესახებ გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ორივე მხარემ გამოთქვა კმაყოფილება სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის წარმატებით განვითარებისა და განმტკიცების გამო.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ აღნიშნა ვიეტნამელი ხალხის მიღწეული ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტურ შენებლობაში.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ვიეტნამელი ხალხის სახელით დელეგაციამ გულწრფელი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მთავრობასა და საბჭოთა ხალხს ეფექტიანი და ყოველმხრივი დახმარებისათვის, რომელსაც უწევენ ამერიკის აგრესიის მოგერიებასა და სოციალისტურ შენებლობაში. დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიეტნამის მშრომელთა პარტიას, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობასა და მთელ ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ პრეზიდენტ ხო ში მინის ანდერძი, გააძლიერონ შეკავშირება და მეგობრობა საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთან, ყოველი ღონე ძიებანი გაერთიანებისათვის, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური შენებლობის გეგმების განხორციელებისათვის.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, ნათქვამია კომუნიკეში, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ პრეზიდენტ ხო ში მინის ანდერძსა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოსათხოვარ სიტყვას, როგორც დოკუმენტებს, რომლებიც გამსჭვალულია ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და ვიეტნამელი ხალხის მისწრაფებით იბრძოლონ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, გაერთიანებისა და სოციალური პროგრესისათვის, სოციალისტური ქვეყნებისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილ იქნა შეთანხმებანი, რომელთა შესაბამისად საბჭოთა კავშირი უსასყიდლოდ გაუწევს დახმარებას ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, მისცემს ახალ კრედიტებს, შეთანხმება 1970 წლის საქონელბრუნვის შესახებ და სხვა დოკუმენტები.

ხაუბრები, ნათქვამია კომუნიკეში, მიმდინარეობდა გულითადობისა და გულწრფელობის ატმოსფეროში, საბჭოთა ხალხისა და ვიეტნამელი ხალხის ძმური მეგობრობისა და საბრძოლო სოლიდარობის სულისკვეთებით. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში და გამართული მოლაპარაკება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიას შორის, საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცების გზაზე. (საკდესი).

## ურთიერთობისა და თანამშრომლობის ვითარებაში

# საერთაშორისო ცხოვრება

## ვიეტნამელ ხალხთან...

სტოკჰოლმი, შვეიცარია გაიმართა „ვიეტნამის კვირეული", რომლის დროს ქვეყნის საზოგადოებრიობამ მხურვალე სიმპათია გამოთქვა გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი და პოლიტიკური და მატერიალური მხარდაჭერა კაუწია მის ბრძოლას ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ.

კვირეულის კულმინაციური პუნქტი იყო შვეიცარიის დედაქალაქის საზოგადოებრიობის დემონსტრაცია და მიტინგი. ათასობით დემონსტრანტმა, რომლებიც ერთხმად გაიძახოდნენ „ამერიკის შეერთებულო შტატებო, წადით ვიეტნამიდან!", „ვიეტნამელი ხალხი გაიმარჯვებს!", ჩაუარეს ამერიკის საელჩოს შენობას სტოკჰოლმში. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გადაჭრით გმობენ შეერთებული შტატების აგრესიულ ომს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ვაშინგტონი. შეერთებულმა შტატებმა უნდა დაიწყოს თავისი ჯარების სისტემატური გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან რაიმე პირობის დაუდებლად, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. ჰარისმა. გეგმას, რომ ამერიკის არმიის მნიშვნელოვანი სამხედრო პერსონალი დატოვონ სამხრეთ ვიეტნამში ომის დამთავრების შემდეგ, რაც ამას წინათ თავდაცვის მინისტრმა ლერდმა გამოაცხადა, თქვა მან, საერთო არა აქვს რა ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტასთან. (საკდესი).

## პარტიზანები უტევენ

კაირო, 20 ოქტომბერი. (საკდესი). პალესტინის გაერთიანებული სარდლობის კომუნიკეში, რომელიც კაიროში გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ გუშინ „ალ-ასიფის" ორგანიზაციის პარტიზანებმა რაკეტები დაუშინეს ისრაელის ჯარებს ჩრდილოეთ ელ-გორრეში. განადგურებულია ისრაელთა რამდენიმე ავტომანქანა. დახოცილი და დაჭრილია მოწინააღმდეგის ბევრი ჯარიკაცი.

# პარტიულ მუშაკთა თათბირი ჰავანაში

ჰავანა, 18 ოქტომბერი. (საკდესი). ჰავანაში გაიმართა პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების საერთო-სახელმწიფო თათბირი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწვია.

თათბირს დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები გ. ჰუსაკი, შ. სადოვსკი, ლ. შტროუგალი და ე. ერბანი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. ინდრა, ი. ლენარტი და ფ. პენეკი, პარტიის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ პარტიის მოქმედება თათბირის მონაწილეებს გააცნო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა. მან თქვა, რომ სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებამ საშუალება მოგვცა მიგვეღწია გარკვეული კონსოლიდაციისათვის პარტიაში და ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სექტემბრის პლენუმის დასკვნები დადებითად შეაფასეს კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ, უწინარეს ყოვლისა სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიებმა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიასა და სოციალისტური ქვეყნების პარტიებს შორის ნდობის საგანი აღდგენა მოწმობს, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოქმედებას გაგებით ეკიდებიან მოძმე პარტიები და რომ იგი დიდი იმპულსია შემდგომი საქმიანობისათვის, აღნიშნა გ. ჰუსაკმა.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტია აღნა ასრულებს მთავარ ამოცანას, რომელიც აპრილის პლენუმმა დასახა და შეავიმუშავეთ ცენტრალური კომიტეტის მაისისა და სექტემბრის პლენუმებზე. ეს ამოცანაა— გამოვიყენოთ პარტია და საზოგადოება კრიზისიდან.

მაისის პლენუმმა პარტიას შეუქმნა საფუძველი, რომელზეც შეუძლიათ გაერთიანდნენ პარტიის ჯანსაღი ძალები, თქვა შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. პენეკმა. მაგრამ არ შეიძლება მხედველობიდან გაეუშვათ, რომ საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ ყველა მემარჯვენე და სხვა არასწორ შეხედულებებს, საჭიროა გაანალიზოთ ბოლო ორი-სამი წლის ოპორტუნისტური ტენდენციები, ეს ტენდენციები ეფუძნებოდა ოპორტუნისტურ ელემენტებისადმი, ყველადდიაღი პოლიტიკური მუშაობა, „ტიტიური მონაწილეობა მიეცეთ ბოლოტიკურ ცხოვრებაში პარტიის რიგით წევრებსა და ყველა პატიოსან მოქალაქეს.

ჩვენ გვსურს დარწმუნებული ვიყოთ, რომ ყველა სახელმწიფო ორგანოში, დაწყებული უმაღლესი ორგანოებით და დამთავრებული ყველაზე პატარა დასახლებული პუნქტების ეროვნული კომიტეტებით, მუშაობდნენ ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად სურთ და აქვთ ყველა წანამძღვარი ჩვენი სოციალისტური საზოგადოების წარმატებით განვითარებისათვის, ხაზი გაუსვა გ. ჰუსაკმა.

ამავე დროს საჭიროა ყურადღება დაეთმოთ კომუნისტების მუშაობას მასობრივ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით პროფკავშირებსა და ხელმძღვანელ სამეურნეო აპარატში. თუ წარმოებაში არ დავამყარეთ წესრიგი, ვერ მივაღწევთ ეკონომიკის, ვალუტის, ხელფასის სტაბილიზაციას, ვერ გავაუმჯობესებთ ბაზრის მომარაგებას და ვერ უზრუნველყოფთ მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

დისკუსიის მსვლელობამ დაადასტურა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შედეგებმა დადებითი გამოძახილი ჰპოვა პარტიაში. პარტია თავისუფლდება მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტებისაგან, ყველა დარგში მტკიცდება მისი საღი ბირთვი, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისისა და სექტემბრის პლენუმების მიერ დასახული პოლიტიკის პრინციპები.

საბოლოო სიტყვაში გ. ჰუსაკმა უპასუხა თათბირის მონაწილეთა კითხვებზე, მან ხაზი გაუსვა, რომ ყველა პარტიულმა ორგანომ უნდა მოიპოვოს ისეთი ავტორიტეტი, რომელიც აუცილებელია, რათა წარმატებით ეუხელმძღვანელოთ საზოგადოებას, განვახორციელოთ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზი.

# გელადის იუბილეს მიუძღვნეს

ტოკიო, 20 ოქტომბერი. (საკდესი). ქალაქ ტოკიოში დაიწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული. კვირეულის ორგანიზატორია ფინეელი ხალხის დემოკრატიული კავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია.

კვირეულის პირველი ღონისძიება იყო ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნა. საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ხალხელმწიფო ალმებით მორთულ დარბაზშია ვ. ი. ლენინის პორტრეტი. სტენდებზეა ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ ვლადიმერ ილიას ძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის პროგრამით გათვალისწინებულია ჩვენება ფილმებისა რევოლუციის შესახებ, ლექციები, სხვადასხვა თემატიკური საღამოს მოწყობა.

# ბოლო მოვუღოთ დანაშაულებრივ ომს

## პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესის რეზოლუცია ვიეტნამის შესახებ

ბუდაპეშტი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). ვიეტნამელ ხალხს თავისი გმირული ბრძოლით დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და ხალხთა ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, ხაზგასმულია რეზოლუციაში ვიეტნამის შესახებ. ეს რეზოლუცია ერთხმად მიიღო პროფკავშირთა მე-7 მსოფლიო კონგრესმა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ბუდაპეშტში.

მშრომელებმა და მსოფლიო პროფკავშირულმა მოძრაობამ, ნათქვამია რეზოლუციაში, კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ და გაფართოონ ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის საერთაშორისო მოძრაობა, რათა ლახვარი ჩასცენ ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულ პოლიტიკას ვიეტნამში და ბოლო მოუღონ მათ დანაშაულებრივ ომს.

კონგრესმა გადაწყვიტა დღეიდან 1969 წლის 20 დეკემბრამდე მოაწყოს მშრომელთა და მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის ბრძოლის კამპანია და ამ კამპანიის მსვლელობაში მოსთხოვოს ამერიკელ იმპერიალისტებს მთლიანად, სწრაფად და პირობის დაუთქმელად გაიყვანონ სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარები და აგრესიაში მათი მოკავშირეების ჯარები.

რეზოლუცია მოუწოდებს მშრომელებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს მომდინარე წლის 20 დეკემბერს, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის მეცხრე წლისთავზე, მოაწყონ გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი საერთაშორისო სოლიდარობის დღე.

# ახალი დოკუმენტები რაიხსტაგის დაწვის შესახებ

პარიზი, 18 ოქტომბერი, საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი გვატყობინებს:

1933 წელს რაიხსტაგში ცეცხლის გაჩენა, რომელიც საბაბი გახდა მასობრივი რეპრესიების დაწყებისა და გერმანიაში აშკარა ფაშისტური დიქტატურის დამყარებისა, ნაცისტთა იმ სალუმპლო სამსახურის ხახელავია, რომლებიც ჰიტლერის უშუალო ბრძანებით მოქმედებდნენ. ეს ფაქტი ეს-ეს არის დაადასტურა ახალმა დოკუმენტებმა, რომლებიც შეკრიბა ევროპის მეორე მსოფლიო ომის წყაროებისა და შედეგების მეცნიერული კვლევის კომიტეტმა.

პარიზის სასტუმრო „ლუტეციაში" გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ჟურნალისტებს წარუდგინეს კომიტეტის დასკვნები. კომიტეტს მეთაურობენ ლუქსემბურგის დიდი საპერლოგოს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე პიერ გრეგუარი, ცნობილი ფრანგი საზოგადო მოღვაწე, ყოფილი მინისტრი ანდრე მალრო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ეიკი ბრანდტი.

დასკვნებთან ერთად პრესის წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც აღასტურებენ, რომ რაიხსტაგს ჰიტლერელებმა წაუკიდეს ცეცხლი.

მმართა რა შეკრებილთ, პიერ გრეგუარმა ხაზი გაუსვა, რომ კომიტეტმა, რომელმაც შეაგროვა დიდძალი უცილობელი დოკუმენტი, შეძლო შეეკრა მრავალი ხარვეზი პროფოკაციათა ბნელებაში, რომელთა საშუალებით ნაცისტები თავიანთ შავბნელ საქმიანობას ეწეოდნენ.

„იმ ფაქტს, რომ ხელთ არ გვქონდა წერილობითი საბუთები, რომლებიც დაადასტურებდნენ ჰიტლერელთა პასუხისმგებლობას რაიხსტაგში ცეცხლის გაჩენისათვის, 1945 წლის შემდეგ ფართოდ იყენებდნენ მესამე რაიხის აპოლოგეტები ჰიტლერისა და მისი რეჟიმის გასამართლებლად, — თქვა შემდეგ ბერნის უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა ვალტერ ჰოფერმა. — ამიერიდან დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ რაიხსტაგის დაწვაში ბრალი არ მიუძღვით არა თუ გიორგი დიმიტროვსა და მის ამხანაგებს, რომლებმაც შეძლეს ლაიფციგის სასამართლო პროცესი მისი ორგანიზატორების წინააღმდეგ მიემართთო, არამედ ჰოლანდიელ ვან დერ ლუბესაც, რომელიც ჰიტლერელთა პროვოკაციის მსხვერპლი გახდა. ბრძანება რაიხსტაგის დაწვის შესახებ მოვიდა ნაცისტთა პარტიის უმაღლესი სფეროებიდან და იგი შეასრულა სს-სა და სა-ს სამსახურების თანამშრომელთა სპეციალურმა რაზმმა".

ევროპის მეორე მსოფლიო ომის წყაროებისა და შედეგების მეცნიერული კვლევის კომიტეტი აპირებს უახლოეს მომავალში გამოსცეს ცალკე ბროშურად შეგროვილი ახალი დოკუმენტები და მასალები რაიხსტაგის დაწვისა და ლაიფციგის პროცესის შესახებ.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარიზელმა ელჩმა ვ. ტო

## გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეების წინ

# ეს განმტკიცებს მეგობრობას

**პრეს-კონფერენცია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში**

□

დღითიდღე ვითარდება და მტკიცდება ჩვენი დიდი მეგობრობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთან. საბჭოთა ხალხი ამაყობს გერმანიის ისტორიაში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს უდიდესი მონაპოვრებით, დიდ ინტერესს იჩენს მოძმე ქვეყნის მშრომელთა ცხოვრებისადმი.

ქართველი და გერმანელი ხალხების მეგობრობას ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. იგი კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ერთობლივი ბრძოლის წლებში. ახლანდელ მეგობრულ ურთიერთობას საფუძველს უყრიდნენ ორივე ერის მოწინავე წარმომადგენლები, რომლებიც დაუცხრომლად იბრძოდნენ თავიანთი ქვეყნების უკეთესი მომავლისათვის და კვალავდნენ კულტურული თანამშრომლობის გზას. კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ყველა ხალხის მეგობრობის განმტკიცებას, კერძოდ, მეგობრობასა და თანამშრომლობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

რესპუბლიკის საზოგადოებრიობა გულწრფელი სიხარულით გამოეხმაურა ცნობას იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართება საქართველოს კულტურის დღეები. ეს დღეები კიდევ უფრო დააახლოებენ ჩვენს ხალხებს, განამტკიცებენ მეგობრობას, ხელს შეუწყობენ უკეთეს ურთიერთგაგებასა და ნაყოფიერ თანამშრომლობას ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა პრეს-კონფერენცია რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში, რომელიც 17 ოქტომბერს გაიმართა. სხვადასხვა დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთების, ჟურნალების, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტები. აქვე იყვნენ ბერლინის ჟურნალ „ფრაიე ველტის“ განყოფილებათა გამგეები ვოლფგანგ შეელი და ჰორსტ ვუსტრაუ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წამომადგენლები.

ორი წლის წინათ, — თქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა,— ჩვენი რესპუბლიკა მასპინძლობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს. ჩვენში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები. ეს იყო მეგობრობის ნამდვილი დღესასწაული, რომელმაც დაადასტურა ხალხთა უღვიძი ლენინური მეგობრობა.

საქართველოს მშრომელები გაეცნენ მსოფლიოში სახელგანთქმულ კოლექტივებს, დრეზდენის სიმფონიურ ორკესტრს, ქალაქ ჰალეს მადრიგალისტთა ანსამბლს, გაუნტერ გოლაშის ხალხური საცეკვაო მუსიკის ანსამბლს, დრეზდენის შტაატს — კაპელის კამერულ ორკესტრს, მომღერალ ვ. ელშვეგელს, ორგანისტს ი. ე. კიოლერსა და სხვებს. მათმა გამოსვლებმა, რომლებმაც დიდი წარმატებით ჩაიარეს ჩვენში წარეშლელი შთაბეჭდილება დატოვეს. შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით ერთ-ერთი თვალსაჩინო მხატვრის ლეო გრუნდიგის შემოქმედებას, გამოფენებს „მინის გაფორმება“, „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სათამაშოები“, „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — ტურიზმის ქვეყანა“. საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებმა გამდიდრეს ჩვენი ცოდნა, განამტკიცეს ჩვენი მეგობრობა და ძმობა.

საქართველოს მშრომელები, თქვა ო. თაქთაქიშვილმა, კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ვითარდება კულტურული ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. მათ ესმით, რომ სულ უფრო მზარდი კულტურული გაცვლა, კეთილი ნების ადამიანთა პირადი კონტაქტების გაფართოება ხელს უწყობენ მშვიდობისა და პროგრესის საქმეს. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახალი წვლილი იქნება ქართველ და გერმანელ ხალხთა დიდი ხნის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმართება 1-10 ნოემბერს. ეს დღეები ეწყობა ღირსშესანიშნავ დროს, როცა ჩვენი ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. ეს დღეები ემთხვევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 20 წლისთავს. ძირითადად მეგობრობის ეს დღესასწაული გაიმართება ბერლინში, აგრეთვე სამხრეთის ოლქებში, რომელთა ცენტრებია დრეზდენი, კარლ-მარქსშტადტი, გერა და ზუელ.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიეშველებიან წარმომადგენლობითი დელეგაცია — მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, წარმოების ნოვატორები. მათ უნდა ღირსეულად უჩვენონ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მიღწევები, ის წარმატებები, რომლებიც საქართველომ მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

საქართველოს კულტურის დღეებში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ხელოვნების ოსტატები. ისინი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იქნება აგრეთვე ქართული სახვითი ხელოვნებისა და ხალხური გამოყენებითი ხელოვნების მიღწევების დათვალიერება. მთელ ქვეყანაში მოეწყობა ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების გამოფენები. სახვითი ხელოვნების მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ დაათვალიერონ ნ. ფიროსმანაშვილის, საქართველოს სახალხო მხატვრების ე. ახვლედიანისა და ლ. გუდიაშვილის პერსონალური გამოფენები. გაიხსნება ქართული კერამიკის, ოქრომჭედლობის გამოფენები, აგრეთვე თემატური ფოტოგამოფენები — „საბჭოთა საქართველო“, „საქართველოს არქიტექტურა“, „საქართველოს კულტურა“, „საქართველოს კურორტები და ბუნება“, „ქართული ლიტერატურა გერმანულ ენაზე“ და სხვ.

დღეების პროგრამაში დიდ ადგილს დაიკავებს ქართული კინოხელოვნება. კინოთეატრებში უჩვენებენ მხატვრულ ფილმებს „ჯარისკაცის მამას“, „ციურულ ბალადას“, „შეხვედრას წარსულთან“, სამეცნიერო-პოპულარულ და დოკუმენტურ ფილმებს.

ცნობილი ქართველი მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი წაუკითხავენ ლექციებსა და მოხსენებებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს. გააცნობენ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის დარგში, უამბობენ საქართველოს ისტორიულ წარსულზე.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეებში მოეწყობა ქართული წიგნის გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება ლიტერატურული ძეგლები მე-5 საუკუნიდან დღემდე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საუკეთესო რეტორანებში დემინსტრირებული იქნება ქართული სამზარეულო. გაიყიდება ქართული სუვენირები — კერამიკული, ოქრომჭედლური ნაწარმი, ხის ნამუშევრები.

ქარხნებსა და ფაბრიკებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში, შემოქმედებითს კავშირებში გაიმართება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა შეხვედრები.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუპრავა.

ჟურნალისტებმა მთელ რიგ კითხვებზე მიიღეს ამომწურავი პასუხები.

(საქდესი).

## ბელადის პორტრეტი ხალიჩაზე

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). დეკორატიული ქსოვილების ბევრი საინტერესო ნიმუში, რომლებიც ქუთაისის ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის დესინატორის ზ. სირბილაძისა და მხატვარ ა. მოროზოვას ერთობლივი შთანაფიქრით არის შექმნილი, დანერგალია წარმოებაში და მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

ამ ზაფხულს ზ. სირბილაძემ და ა. მოროზოვამ მოსკოვში, სპეციალურ სამხატვრო საბჭოზე წარადგინეს თავიანთი ახალი ნამუშევარი — ვ. ი. ლენინის პორტრეტი, რომელიც ხალიჩაზეა შესრულებული. სამხატვრო საბჭომ მაღალი შეფასება მისცა ქუთაისელ მხატვართა ნამუშევარს.

# ჩაი, ნერგები — საექსპორტოდ

**ქართული** ჩაის ნაზი სურნელება, სასიამოვნო გემო და სხვა შესანიშნავი თვისებები საქვეყნოდ არის განთქმული. უმაღლესი ხარისხის ჩაი — „საქართველოს თაიგული“ და „ექსტრა“ წარმატებით უწევს კონკურენციას ინდოეთისა და ცეილონის ჩაის. ისინი დემონსტრირებული იყო ბევრ საერთაშორისო ბაზრობაზე, სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე, მათ შორის პარიზის უდიდეს უნივერსალურ მაღაზია „ლუვრში“.

შავი ბანხო ჩაის დიდი პარტია იგზავნება ავსტრიაში, ბელგიაში, ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, მაროკოში, ალჟირში, მონღოლეთში.

□

საზღვარგარეთ იგზავნება აგრეთვე ქართული ჩაის თესლი და ნერგები. ისინი გაიგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, იემენში, ავღანეთში, ტუნისში, თურქეთში, ჩეხოსლოვაკიაში, კუბაში. ამას წინათ მაროკოდან მოვიდა ცნობა, რომ შესყიდულია ორი ტონა ქართული ჩაის თესლი.

ქართველ სპეციალისტთა დახმარებით ჩაის ფაბრიკები აშენდა ვიეტნამში. გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩვენი მეჩაიეები იყვნენ ინდოეთში, ცეილონზე. ჩვენს რესპუბლიკაში ჩაის პლანტაციებსა და წარმოებას გაეცნო ბევრი უცხოელი სპეციალისტი. (საქდესი).

□

## ქრემიერა მესხეთის თეატრში

**ამ დღეებში** მესხეთის სახელმწიფო თეატრმა თავისი ახალი თეატრალური სეზონი გახსნა პრემიერით — დრამატურგ თ. თაქთაქიშვილის პიესით „დგილი ცხოვრებაში“.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. მაცხონაშვილმა. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ა. გოგოლაძეს. წარმოდგენაში მონაწილეობენ მსახიობები ნ. ზამბახიძე, მ. თუშიშვილი, ლ. თევზაძე, ნ. ნემსაძე, გ. პატარიძე, თ. რეხვიაშვილი, ლ. სულუაშვილი, ო. ყურაშვილი, ა. ქადაგიშვილი, გ. ხვიჩია, ო. წიტაიშვილი.

საღამო გრემის ცისკესთან. ფოტო ს. კილაძისა.

## ლეგენდების მხარე ეკრანზე

**„ლეგენდების მხარე“** — ასე უწოდეს სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს, რომელიც ამ დღეებში ასპინძის, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში გადაიღეს მოსკოვის კინოსტუდია „ცენტრალური სამეცნიერო ფილმის“ მუშაკებმა. ფილმი კინომაყურებელს მოუთხრობს საქართველოს ერთ-ერთი დიდებული მხარის — მესხეთ-ჯავახეთის წარსულსა და აწყოზე. კინოფირზე აღიბეჭდა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის დროინდელი ხუროთმოძღვრული ძეგლები: ლეგენდარული თმოგვისა და ხერთვისის ციხეები, კლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქები ვარძია და ვანი-ქვაბი, კუმურდოს გუმბათიანი ტაძარი და საფარის მონასტერი, წუნდის ნაქალაქარი და განახლებული მესხეთ-ჯავახეთის საკოლმეურნეო სოფლები თავიანთი ბაღებით, ვენახებითა და სახაფხულო იალაღებით, შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანებით.

ფილმის გადაღებაში მონაწილეობდნენ რეჟისორ-ოპერატორები დიმიტრი გასიუკი, ბორის გოლოვნია, ახალგაზრდა ოპერატორი იგორ კუზნეცოვი. მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ევგენი სტეხინმა. სცენარის ავტორია ვლადიმერ ბერძანი.

ჩვენთან საუბარში ფილმის დირექტორმა იანა რაჟოვსკაიამ განაცხადა, რომ ფილმი მალე გამოვა ეკრანზე.

**შ. მაისურაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## ბაკურიანი

**ბაკურიანი.** (საკ. კორ.). ბაკურიანი ცალკეული ადგილებიდან ბინადრობენ ბეღურები, ბეღურა ბინადრობს ბაკურიანის ბაღებში, ბეღურა ბინადრობს ბაკურიანის ბაზარში, ბეღურა ბინადრობს ბაკურიანის ბანაკში, ბეღურა ბინადრობს ბაკურიანის ბალნეოლოგიურ ბიბლიოთეკაში, ბეღურა ბინადრობს ბაკურიანის ბანკში, ბეღურა ბინადრობს ბაკურიანის ბალეტის ბინაში, ბეღურა ბინადრობს ბაკურიანის ბალეტის ბალეტმეისტრ